

გამოცემა ა.—გ. № 3.

ქართველი ტერიტორია
და მისი

სამრეჩარო უკადეგი


ლ. ჩოხატავის ელისა.

ბათონიშვილი

სტამბა თავართ—ძის და მიქელ—ლისა.

1 8 9 7

କୋଣ ରହୁଥିଲା ମାତ୍ରିକା



କୋଣ ରହୁଥିଲା ମାତ୍ରିକା

ჩვენებული ტირილი და მისი სამშუ- ხარო შედეგი.

ვინც ღრმად ჩაჰკვირვებია ჩვენის
ხალხის დახავსებულ, უფერულ და უგე-
მურ ცხოვრებას, ვისაც საფუძვლიანად
გამოუკვლევია ესა თუ ის მავნე მხარეები
ჩვენის ეგზომ დაბეჩავებისა, გონებრივად
და ქონებრივად გადატაკებისა, მას შემჩნე-
ულიც ეჭმნება ჩვენს ცხოვრებაში სხვა
მრავალ მავნე ჩვეულებათა შორის ერთი
ყოვლად უსარგებლო და უმნიშვნელო
ჩვეულება. ეს გახლავთ ჩვენებური „ტი-
რილი“, რომლის მეოხებითაც იღუპება
და ნადგურდება უიმისოდაც . შავ-ბნელის
სიკვდილისაგან დასჯილი ოჯახი.

მე მსურს ორიოდე სიტყვა მოგახსე-
ნოთ ამ ყოვლად მავნებელ ჩვეულების
შესახებ და თუ ამ ჩვეულებაში სასარგებ-
ლო ვერა ვიპოვოთ-რა, გარდა ვნებისა,
თუ თქვენც დამეთანხმებით, გავკიცხოთ
ის, დავამტიროთ, შევუწონოთ ჩვენს ავ-
ლა-დიდებას მისნი უდიერნი მძიმე მოჟ-

ხოვნილებანი და ისე გადავიხადოთ ქელები, რომ სიკვდილით დასჯილი ოჯახი ქონებითაც არ გაღატაკდეს... ჭეშმარიტად სასურველია, რომ ჩვენც ასე მოვიქცეთ, დასაგმობი დავგმოთ, რაღან ყველა ჭკუათა-მყოფელ ადამინის ვალია, ამ ქვეყანაში ზომიერად და ანგარიშით იცხოვროს.

შიუხედავად იმისა, რომ ჩვენებური გლეხი ერთობ ღარიბ-ღატაკა, მაგრამ ტირილისათვის მაინც არასა ჰჰოგავს: ის მზად არის უკანასკნელი საცხოვრებელი გაჰყიდოს, ხოლო ტირილი კი ჩინებული და საქებარი გადაიხადოს, ასე რომ ბრბომ აღარ დასძრახოს და ასე სთქვას: „აცხონა ღმერთმა, ძან ტირილი-კი ჰქონდა, სულ ოხრად ეყარა სასმელ-საჭმელიო“.

ყველამ კარგად უწყის, რომ თუ ვინმეს რამე მოეპოვება ჩვენს დაბასოფლებში, ესენი გახლავსთ ვაჭრები, რომელთა გემრიელ ლუკმას შეადგენს ჩვენებური გულ-კეთილი და მასთან უვიცი გლეხ-კაცობა. მოკვდება თუ არა ვინმე სოფელში, მიცვალებულის მახლობელი ნათესავი იმ წამსვე აღგილობრივ ვაჭართან მირბის

(სხვა საშუალება სადა აქვს, ასე რომ არ
მოიქცეს) თავზე ყაბალახ მოგლეჯილი და
ეხვეწება ცრემლით: „თქვენ და თქვენი
ღმერთი! შემიბრალეთ გაჭივრებული! ამი-
სანაი და ამისანაი გულ-საწვავი ნათესავი
მომიკვდა, მიქენით მოწყალება და გამიმ-
ზადეთ ამა და ამ დღიზა ყოლაფერი სა-
ნოვაგე, რაც-კი დამჭირდება ჭურჭლები-
თურთო“. რა თქმა უნდა, ამისთანა საქ-
მეებში დახელოვნებული და გამოცდილი
(რომელმაც კარგად იცის, რომ საბრალო
გლეხს მას გარდა საშველი არა აქვს-რა)
ვაჭარი ჯერ უარზე სდგას, ხოლო ბოლოს-
კი დიდის დამადლებით ეთანხმება გაჭივ-
რებულს აღაშიანს შემდეგის პირობებით:
1. გლეხმა უნდა მისცეს ვექსილი საჯერო
პირების თანადასწრებით. 2. ტირილის
დღეს რაც შემოსავალი იქნება, მას დარ-
ჩეს, ხოლო დანარჩენი ფულები-კი მესამე
დღეს მიუზღონ სარგებლით. ეხლა ის
ვიკითხოთ: ვაჭარი პირ-ნათლად ასრულებს
თუ არა თავისს დაპირებას? ამას შემდე-
გის მაგალითებიდგან დავინახავთ.

მაგალითად, ჭირისუფალმა შეუკვეთა

ვაჭარს 50 ფუთი პური და 10 ფუთი დო-
შის თევზი (საერთოდ იმერეთში ტირილ-
ში ხმარობენ, უმეტეს ნაწილად დოშის
თევზსა, თუნდაც მეტის-მეტი ღარიბიც
იყოს ჭირისუფალი). ხოლო ვაჭარი ამ
შემთხვევაშიაც შეუბრალებლად ეპყრობა
საბრალო ჭირისუფალს, ატყუებს და თვალს
უბამს. ნაცვლად 50 ფ. პურისა და 10 ფ.
თევზისა უგზავნის 40 ფ. პურს და 6 ფ.
თევზს. ვაჭარმა კარგად იკის, რომ 40 ფ.
პური და 6 ფ. თევზი არ იკმარებს ტირი-
ლისათვის, მან ესეც კარგად იკის, რომ
ერთხელ გაყიდულ თევზსა და პურს მეო-
რეჯერაც დიდის მაღლობით მიჰყიდის მისს
მსხვერპლს. რა თქმა უნდა გაქნილი ვაჭა-
რი სარგებლობს ამ ბრძა შემთხვევითა.
ასევე ატყუებს ჭურჭლებშიაც, მიუთვლის
შუა-შუაზე დამტვრეულ-დახეთქილს ჭიქა-
საინებს, რომელიც შინამდის არ მიჰყობა
წამლებს დაუმტვრევლად. რასაკვირველია,
ამ დამტვრეულ-დამსხვრეულ ჭურჭლებ-
შიაც მანათიანებს იჩხრიალებს ჯიბეში
ჩვენი ვაჭარი.

ჩვენ ზემოთ ვთქვით, რომ ვაჭარს

პქონდა შეკვეთილი 50 ფ. პური და 10 ფ. თევზი, გაუგზავნა ჭირისუფალს 40 ფ. პური და 6 ფ. თევზი. ხოლო საფასო-კი მიიღო 50 ფუთი პურისა და 10 ფ. თევზისა, რაც შეადგენს შემდეგს ჯამს: ფუთი პური რომ ვიანგარიშოთ 1 გ. და 80 კ., 50 ფუთი პური შეადგენს 90 მანათს. 10 ფუთი თევზი, თითოეული ფუთი რომ ვიანგარიშოთ 12 მან., შეადგენს 120 მან. მაშასადამე, 50 ფუთი პური და 10 ფუთი თევზი საერთო ჯამს მოგვცემს ორას ათ მანათს (210 გ.) ჩვენ ეხლა ამას უნდა მივუმატოთ ჭურჭლის ჭირა და მასთან გატეხილი ჭურჭლების საფასიც ქმირად მოხდება, რომ ვაჭარი ცოტაოდენ კიდე ჩამოციცნილ ჭურჭელს არ მიიღებს უკან, რაღან მან კარგად იცის, რომ გატეხილ ჭურჭელში ნალდ ფულებს ჩაიჩრიალებს ჯიბეში). სულ მცირედი რომ ვიანგარიშოთ, 12 მან. მაინც გამოვა; ეს 12 შან. რომ მივუმატოთ 210 მანეთს, მივიღებთ 222 მანეთს. ჩვენ ვთქვია, რომ ვაჭარს პქონდა შეკვეთილი 50 ფუთი პური და 10 ფუთი თევზი, მაგრამ ვაჭარმა გაუგზავ-

ნა ჭირისუფალს მხოლოდ 40 ფ. პური
და 6 ფ. თევზი, რამაც, რასაკვირველია, არ
იკმარა ტირილისათვის... მაშასადამე, ხელ-
მეორედ უნდა იყიდოს ჭირისუფალმა ათი
ფუთი პური და ოთხი ფუთი თევზი! (10
ფ. 3. და 4 ფ. თ.) რაიცა ერთად შეად-
გენს 65 მ; ამას მივუმატოთ წინანდელი
ჯამი 222 მანათი, საერთო ჯამს მივიღებთ
287 მან. ახლა მივუმატოთ ფულის სარ-
გებელი, რაც უეჭველად გამოვა 10 მანა-
თი. ეს ათი მანათიც რომ მივუმატოთ 287
მან., სულ საერთო ხარჯის ჯამს მივიღებთ
ორას-ორმოცდა ჩვიდმეტ მანათს, ერთი
სიტყვით, როგორც ჩვენში ამბობენ, სამას
„ტლიკვ“ მანათს.

ეხლა ვიკითხოთ, რომელის წყაროე-
ბიდან გადაიხადოს უბედურმა, სიკვდილი-
საგან დასჯილმა ოჯახმა ეს მძიმე ვალი;
აღვნუსხოთ ეს წყაროც: ეს წყარო გახ-
ლავსთ „წასაბურავი“, რომლის შამოსავა-
ლი არ აღემატება არას, დროს რაც უნ-
და დიდის მცენ-მოყვრის პატრონი კაცი
იყოს, 80 მანათიდან, 120, 130, 150
მანათზე“ მაშასადამე, ჩვენ მივიღეთ ფრიად

მცირე შემოსავალი შედარებით იმ ხარჯ-
თან, რაც დაგვჭირდა ტირილის მოსაწყო-
ბად!.. (თუ ამ 'მამოსავლისაგან გამოვრი-
ცხავთ სხვა-და-სხვა ხარჯს, მაგალითად:
მღვდლების, მონაზოვნების, დიაკვნების,
მათხოვრების, მიცვალებულის მახლობლე-
ბი ნათესავების შავით შემოსვას მოუნდე-
ბა 50 მანათი.) აი ამ ორმოცდა ათს მა-
ნათს (50 მ.) მაშინ ვაჭრის გამოერიც-
ხავთ შამოსავლისაგან, (რაც უეჭველია.)
მაშინ ვაჭრის ვალი კიდევ დაგვედება ჩვენ,
(200 მ.) ორასი მანათი. ეხლა ესეც ვი-
კითხოთ: განა წასაბურავის ფულიც ასა-
ვალებელი არა აქვს გადაცვალებულის
ამა თუ იმ მახლობელ ნათესავსა? დიახ-
უნდა ისესხოს მამისისხლად მერე ვისგან?!.
რასაკვირველია, ამავე ვაჭრისაგან... მახ-
ლობელი ნათესავი, მაგალითად: გათ-
ხოვილი ქალი, და ნათლული ვალდებულია,
რომ მოზარე კაცებით და კელაპტრით
მოვიდენ დამწუხარებულ ოჯახში, რო-
მელთაც თან უნდა ეახლოს ათი-თუთხმე-
ტი ცხენოსანი ქალი და კაცი. ამასაც
ხომ ხარჯი უნდა?! ნუ თუ ყველა ეს ზედ

მეტი ორ-გვარი ყოვლად უსარგებლო
ჩვენს უვიცობას, და უანგარიშობას არ
მოასწავებს?!? განა ჩვენ რომ იოტის ოდე-
ნა ანგარიშის და ზომიერად ცხოვრება
ვიცოდეთ, ამაებს ჩავიდენთ?

აქეთ კაცი კვდება, ოჯახი მწუხარე-
ბაში ვარდება, და იქით-კი ნათესავები
ვალსა და ვახჩში ვარდებიან, მერე რისთ-
ვის! სრულიად უსარგებლო „ბრბოთა
გაძლომისათვის“. ნუ თუ სამწუხარო არ
არის ეს? ნუ თუ ყველა ჭკუათა მყოფე-
ლი ადამიანი არ უნდა სცდილობდეს,
რომ, რაც შეიძლება, აღრე და მალე აი-
ცდინოს თავიდან ეს მრავალ გზით მავნე
ჩვეულება? თქვენ შეიძლება შენიშვნაც
მომცეთ,, რას უნობ, შენ, ვიღაცა ხარ,
ან სულ ბავშვი უნდა იყო, და ან ბრიყ-
ვი, თორემ როგორ იტყოდი ამას, რომ
რაოდენიმე ას წლობით შესისხლ-ხორცე-
ბული ჩვერლება ასე მალე აღმოიფხვრას
ხალხის გულში, ან როგორ შეიძლება
კაცმა კაცი არ იტიროს და არ იმწუხა-
როსო?!? მართალი შენიშვნაა, მხოლოდ
გთხოვთ ცოტაოდენხანს კვლავად დაგვი-

გდოთ ყური. ჩვენ იმას როდი ვამბობთ,
რომ არ იმწუხარონ გულით საყვარელი
მიცვალებული! ასე რომ ვქნათ, მაში ხომ
პარუტყვებს დავემზგავსებით; არა, ასეთ
მოაზრებს ჩვენ, პირიქით, გავკიცხავთ და
მათ სახელს ზიზღით მოვიხსენიებთ, ვინც
თვისსა და მოყვასს, გულით არ იმწუხა-
რებს და გულითად თანაგრძნობას არ
გამოუცხადებს მწუხარებაში მყოფ აღამიან-
სა. დიახ, მეზობელმა მეზობლის მწუხარე-
ბა შუა უნდა გაიყოს, მიცვალებული
წესისამებრ მიწას მიაბაროს, თითო ჭიქა
ღვინით ზედაში გადაუშოს, გადაცვლილს
საუკუნო ნეტარება უსურვოს, ამ გვარად
მწუხარებაში მყოფ ოჯახს პიტივისცეს,
ხოლო საღილად-კი თავთავიანთ სახლებში
წაბდანდნენ; ნუ თუ არ შეიძლება ეს?!
ნაცვლად 10-15 ცხენოსანი ქალი და
კაცისა 2—ან 3 მახლობელი ნათესავი
მოვიდეს, და მწუხარებაში მყოფ ოჯახს
თანაგრძნობა გამოუცხადოს, ესეც ხომ
შეიძლება?

ამით ჩვენ ორ გვარ უმნიშვნელო
ხარჯს ავიცდენდით თავიდან, და აღარც

ვაჭრების სათლელ „დუმათ“ გავხდებოდით. როგორ ჰქონდათ? განა მეზობელს კი საამოდ ურჩება, როცა რომელიმე მეზობელი სიკვდილით მწუხადება, და მასთან ქონებრივადაც ლატაკდება?! განა ამავე მეზობლის მეტი ბარგი არა ხდება გალარიბებული ოჯახი? აბა, ვინ გაუწვდის ხელს საწყალ გაჭივრებული გლეხის ოჯახს მეგობრულად, თუ არა ისევ თავის მეზობელი გლეხი?! ჩვენ ვგონებთ, რომ ეს ცხადზე ცხადია, და ამიტომ არც საჭიროდ მიგვაჩინია მოვიყვანოთ აქ ჩვენის სიტყვის დასასაბუთებელად მაგალითები. გაშასალაშე, თუ კი ეს ასეა, რატომ არ უნდა იყოს სასურველი, და სანატრელი ყველა ჭიუათა მყოფელი ადამიანისათვის, ამ დამღუპველის ჩვეულების თავიდგან აცდენა, რომელიც ერთობ განსაცდელში გვაყენებს, ისედაც ლარიბ, ლატაკ ბეჩავხალხსა?! ჩვენს გალატაკებულ მდგომარეობას რაღათ ეჭივრება ასეთი გამანადგურებელი ჩვეულებები, რომელნიც მარტო კუჭს არგია და სხვას არა რას? ჩვენ ვგონებთ, რომ ამაზე ყველა გონიერი მკითხ-

ველი დაგვეთანხმება. ნუთუ ჩვენ, ბედ
შავებს, ის არ გვეყოფა, რომ დაზაგრული
ვართ სხვა და სხვა გადასახადებითა? მაშ
რაღად გვინდა ეს ყოვლად უმნიშვნელო
ხარჯი, რომელიც მოგვდის ტირილზე?!

ჩვენ არც იმას ვიტყვით, რომ მდი-
დრები, შეძლებული კაცები, თავიანთის
სურვილისამებრ არ მოიქცენ იმათ რა
უშავთ, რავაც მოიქცევიან ძალაც შეს-
წევთ და ღონეც. (ჩვენში ერთი გონიერი
ანდაზაა: მდიდარი მაშინ სატილობს, რო-
ცა სურს. ხოლო ლარიბი კი, — როცა
იშოგისო.) ჩვენ რა უქნათ, ლარიბებმა,
რომელთაც თავის რჩენა გვიმძიმდება, სი-
ცოცხლე გაჭივრებულია, სად შეგვიძლიან
უმნიშვნელო რამეებში ვფლანგოთ საწყ-
ლად ნაშოვარი ორი გროში?

ლ. ჩოხატაურელი.

39

h 82



Сарфади